ნიანგი

1

გამოცემის 53-ე წელი, № 1467. იანვარი. 1976. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის ნაცვლად, რომ მამა-პაპური ჩვეულებისამებრ მაარში ამოუდგნენ მეზობელს მოსავლის აღებასა (ნადი, მამითადი) თუ ჭირში, ახლა სპეციალური ტერმინით „გადახურვით“ აღინიშნება დიდი თანხის შემოსავალი ოჯახში, სადაც ნიშნოგაა ან დაკრძალვა. ზოგან იმართება ქორწილები „მოლარე-რეგისტრატორებით“, რომლებიც აცხადებენ, თუ ვინ რა საჩუქარი მოიტანა.

გაზეთებიდან



ნახ. მ. აბაშიძისა

— მეზობლებო! ფულის მაგივრად, სამპროცენტიანი ობლიგაცია რომ შემოვიტანო, ხომ დამატირებინებთ გაგუას?!

ᲥᲔᲚᲔᲮᲘ

ᲕᲐᲡᲘᲙᲝᲡ ᲑᲔᲑᲘᲘᲡ გარდაცვალებამ ამბავი მეხივით გავარდა სოფელ ქვემო ქელეხეთში და ზემო ქელეხეთამდისაც ააღწია...

ვასიკო იმ დროს უმუშევარი გახლდათ, მაგრამ არ დაბნეულა ბიჭი: აქეთ ეცა, იქით ეცა, მეზობლებს, მოყვრებს დაესესხა რამდენიმე ათას მანეთს. საკლავი მორეკა, პური და ღვინო მოზიდა.

— ნუ ჯავრობთ! — ამშვიდებდა ვასიკო მევალეებს, — ქელეხში ათას ხუთასამდე კაცს ვვარაუდობ. ისე როგორ გაუწყრებათ ღმერთი, რომ გადასახურავს თითო ათ მანეთს მაინც არ შემოიტანს?! ახლა გაამრავლეთ ათი ათას ხუთასზე და ნახეთ ,რამდენი გამოვა!

მოვიდა ხალხი და დაიწყო გლოვა... ვასოს ბიძაშვილი, ტიტიკო, ჭიმკართან იჯდა. წინ ქაღალდგადაფარებული მაგიდა ედგა, მარჯვნივ საანგარიშო ედო, მარცხნივ — ღვინიანი დოქი, ხელში სია ეჭირა და ეზოში მანამ არ შემოუშვებდა არავის, სანამ საყოველთაოდ დაწესებულ გადასახადს არ გადაახდევინებდა.

სისხამ დილით ყასბებმა საკლავი გამორეკეს. იმისთანა ღმუილი და ხრიალი შეიქნა, ყველაზე მსხვილი ხორცკომბინატის დირექტორსაც კი შეშურდებოდა. დედებმა ბავშვებს თვალებზე ხელები ააფარეს...

იმის მოყოლა, რომ დაბინდებისას შეზარხოშებულმა ჭირისუფლებმა ძლივს აღირსეს მიცვალებულს გამოსვენება, ზედმეტი იქნება, ბოლოს და ბოლოს, ტრადიციაა, იტყვის ზოგიერთი „პატრიოტი“ ქელეხეთელი.

ნაშუადამევს ვასიკო და ტიტიკო ოდაში ჩაიკეტნენ.

— ათასი! სამი ათასი! ათი ათასი! ჩვიდმეტი ათასი!.. სულ ჩვიდმეტი ათას რვაას ოცდახუთი მანეთი შემოვიდა, ჩემო ვასიკო!

— ბებიაჩემის სული აცხონა ღმერთმა! ახლა ამ ფულიდან სამი ათას მანეთს ვალს გავისტუმრებთ, დანარჩენს კი მე და შენ გავიყოფთ!

— ვასიკო, ადექი, ბებია გენაცვალოს, უკვე ათი საათია! — აღვიძებდა ვასოს ბებიამისი და ახალგამელოტებულ თავზე ნაზად უსვამდა დამჭკნარ თითებს...

ვასიკო ელდანაკრავივით წამოხტა.

— შენ ცოცხალი ხარ, ბებია?!

— აბა, რავა?! — განცვიფრებისაგან პირი დააღო მოხუცმა. — რა იყო?! ცუდი რამე ხომ არაა?! ხომ არაფერი დაგესიზმრა, ბებია გენაცვალოს?! — შეშფოთდა ქალი.

— კი, მესიზმრა, ვითომ შენ მოკვდი!..

— ნუ გეშინია, ესე იგი, დიდხანს ვიცოცხლებ! — დაამშვიდა ბებიამ შვილიშვილი და ახალმოწველილი თხის რძე და ტკბილი კვერი საწოლში მიართვა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲔᲢᲐ, ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲐᲥᲪᲘᲐ!..

ბოლმა, რაც გულში დაგუბდა,
არ მინდა, დავამარილო!..
რას ჰკვირვობ, ვეღარ მიცანი? —
ეს მე ვარ, მე — მ ა რ მ ა რ ი ლ ო!

შენ იცი, ჩემო ნიანგო,
დავბორიალობ, ვით ბეცი!
დარბაზში უნდა ვბრწყინავდე,
საფლავის ქვად კი ვიქეცი!..

რამდენის ტვინი წყალდება,
რამდენის ფული და შფოთი, —
მიწა რომ ჩემით გააძღონ, —
შავტუხა მარმარილოთი!..

ოჯახს წელს სწყვეტენ, აქცევენ,
ლუკმას აკლებენ წვრილშვილსა!..

რა მადლი აქვს და სიკეთე
მერე ჩემს ახლო ვიშვიშსა?!

ზოგი მთლად გადაირია:
„მე რით ვარ სხვაზე გონჯია?!“
მოდგა და, საფლავ-სასახლეს,
წინ მიუშენა ლოჯია!..

წყალიც გამოჰყავს, სინათლეც, —
სხვაზე მეტად რომ ებრწყინა!
მეშჩანი უფრო გაფუვდა:
მრიცხველიც დადგა ჩემ წინა!..

ამბობენ, გული არ გაქვსო!
სულსაც ხელიხელ მაცლიან!
საფლავს სიმძიმე რად უნდა: —
ნეტა, ყვავილად მაქციან!..

ᲖᲐᲖᲐ ᲯᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საახალწლო სურვილები

ნეტავი, ნატვრა მანატრა
და კიდეც ამიხდებოდეს:
ცხრაას სამოცდათექვსმეტ წელს
ყველა ჯანმრთელად ხვდებოდეს,
საქვეყნოდ იყოს მშვიდობა,
ომი არ დაიწყებოდეს,
ომში დაღუპულ შვილზედა
დედა არ ატირდებოდეს,

შვილი არ დაობლდებოდეს,
ცოლი არ დაქვრივდებოდეს,
ომის თესლი და მთესველი
სუყველგან ამოსწყდებოდეს!
მეორეს ამას ვინატრებ,
ეს ნატვრაც ამიხდებოდეს:
„თბილისური“ რომ გვაშინებს,
ამ წლიდან მოგვწონებოდეს,
ყოველგვარ ნაწარმს, ქართულსა,
ხარისხი მომატებოდეს,
მსოფლიოს ყველა კუთხეში
სულ ქებით იხსენებოდეს.
დილით ჩაცმულსა ფეხსაცმელს
ძირი არ აგვიძვრებოდეს,
სახლში მიტანილ ხის საწოლს
ფეხი არ მოვარდებოდეს,
საწოლი, თუნდაც რკინისა,
მალე არ დაჟანგდებოდეს...
ყველგან ეძებდნენ „თბილისურს“
და ქებით იხსენებოდეს,
იყოს ცოტა და ძვირფასი!
დე, ძნელად იშოვებოდეს!
სახელმძღვანელო წიგნები
სამყოფად იბეჭდებოდეს
და კალენდარი ქართული
მაღაზიებშიც გვხვდებოდეს,
ისე ჩუმ-ჩუმად კი არა,
საჯაროდ იყიდებოდეს,
გამომცხვარ პურში ძაფი და
სხვა რამე აღარ გვხვდებოდეს,
არ ჰქონდეს გული ცომისა
და კარგად გამოცხვებოდეს.
ლიმონათსაც და ბორჯომსაც
ხარისხი მომატებოდეს,
იოლი იყოს ყიდვაი,
რიგები აღარ დგებოდეს!
სოფლებში მცხოვრებთ ნანატრი
წელს მაინც აგვიხდებოდეს:
ჯერ ერთი, ტელევიზორში
კადრები კარგად ჩნდებოდეს,
გამოიძებნოს გზები და
მით გზები შეკეთდებოდეს,
დილას დასხმული ასფალტი
საღამოს არ იყრებოდეს,
კარგი ბეტონის ხიდები
ხევებზეც აიგებოდეს,
ავტობუსს ჰქონდეს სავალი,
არსად არ შეფერხდებოდეს
და მგზავრი, აჩქარებული,
ტყვილა არ ელოდებოდეს!
დაპირებები არ გვშველის,
გვსურს, სიტყვა საქმედ ხდებოდეს:
ზოგიერთ სოფელს სასმელი
წყალი არ ენატრებოდეს,
კედლებს რომ კლუბებს ვეძახით,
წელს მაინც აგვიხდებოდეს
და, ალქაჯების მაგიერ,
შიგ კინო გაიშვებოდეს!
დიდებულია გართობა!

ვისლა არ ენატრებოდეს,
ოი, რა კარგი იქნება,
ესეც რომ აგვიხდებოდეს:
წრეგადასული ქელეხი,
ლოთობა აღარ გვხვდებოდეს,
სამასკაციან ქორწილებს
წერტილი დაესმებოდეს,
საფლავზე სასახლისხელა
შენობა არ იდგმებოდეს,
ეპიტაფიად უნიჭო
ლექსი არ ეწერებოდეს!
ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი
უქმად არ ეხეტებოდეს,
მოეშვას უსაქმურობას,
შრომა არ ეზარებოდეს,
არ მიატოვოს სოფელი,
კლდე-ღრე არ ეხეტებოდეს,
ლაღიძის წყლებთან, „ზემელზე“
დღემუდამ არა დგებოდეს,
შრომობდეს, ანდა სწავლობდეს
სამშობლოს თავს ევლებოდეს
უფროსი სწამდეს უფროსად
და მისი ეჯერებოდეს,
რომ დაამთავრებს უმაღლესს,

ქალაქში არა რჩებოდეს,
იმედად ჰყავდეს სოფელსა
სოფელი ეფერებოდეს!
ძველ ტრადიციებს, დრომოჭმულს,
როგორც მტრებს, ვეომებოდეთ,
სისხლის აღების ველურ წესს
წესს ვუგდებთ და ვტკბებოდეთ,
საკუთარ შრომა-გარჯითა
და მონაგარით ვცხოვრობდეთ,
ქელეხითა და ქორწილით
საქვეყნოდ არ ვმათხოვრობდეთ.
მკვდრითა და ცოცხლით ვაჭრობა
უნდა აღვკვეთოთ ბოლომდე,
ვებრძოლოთ გაუმაძღრებსა
და მომხვეჭელებს—ბოროტებს!
ახლა ქალებსაც „შევეხოთ“,
ნურც იმათ ეწყინებოდეს:
კონიაკსა და პაპიროსს
ძაან არ ექაჩებოდნენ,
ქართველი დედის მანდილის
მომვლელ-დამცველნი რჩებოდნენ,
შვილთა გაზრდაზე მეტადა,
აღზრდასა შეეცდებოდნენ,
ერი ამრავლონ, ყველანი
გმირი დედები ხდებოდნენ
და, თუნდ, შარვალი ატარონ,
მინიკაბა და დეკოლტე!..
ვინატრე რამე მცირედი,
რაც გულში მეფიქრებოდეს!
დაე, აცხადდეს ესენი,
ნათელი გვეფინებოდეს!
მამულს, სამოცდათექვსმეტში,
უფრო მეტს ვეპირებოდეთ!
სიტყვა ვაქციოთ საქმედა!
სიძნელეს ვერკინებოდეთ!

შალვა ჭოლიკაური,
თიანეთის რ-ნი, სოფ. სიონთგორი.

ნახ. ჯ. ლოლუასი

უტექსტოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— ეს რა მოგვივიდა?! არ დაგვსჯიან კაცი საკართველოს სიყვარულში?!

დეპეშები

ავბოგუში ხან დადის, ხან — არა. სინათლე ხან გვაქვს, ხან — არა. წყლის აღებას ხან ვახერხებთ, ხან — ვერა.

ახსინძის რ-ნი, სოფ. ხიზაბავრის მცხოვრებნი

ჩვენს უბანში ტალახია. ლიახვში — ხრეში. ნუთუ, ძნელია გზის გაკეთება, აბანოზე რომ არაფერი ეთქვათ?!

გორის რ-ნი, სოფ. ვარიანი, ზემოუფლისები

SOS! ქუჩაში ლაფში ვეფლობით! ლამის დავიხრჩოთ! გვიშველეთ!

მარნეულის რ-ნი, სოფ. წერეთლის მცხოვრებნი

დეპეშები მიიღო **ნანა ჯაჯანაშვილმა**

ნახ. ზ. ფოფხაძისა

— ჩვენს მოსდგომლებს კუჭის ყულული აწუხებს!
— სამი დირექტორი მეინელა და, აბა, რა მოუვიდოდა?!

დეგექეზივის ნაძვის ხე

ეკვ.: „სპორტსაწყობის“ გამგე ვარ, დამაკლდა: ათი ჭადრაკი, ერთი ხელუფმბარა, ორი წითელი მაისური და, რაც მთავარია, ორას კილოზე მეტი შტანგა...

გამ.: სისხლის სამართლის მუხლია!

ეკვ.: ხომ არ გეეთამაშა ჭადრაკი?

გამ.: რაი?!

ეკვ.: ნაძვეზე ვითამაშოთ! ახალ წლამდე კიდევ დროა!

გამ.: ჩემი რანგის კაცი ფუღზე ვეთამაშოთ?

ეკვ.: ფული როგორ გეკადრებათ!.. აი, ამ ჭადრაკზე ვეთამაშებით!

გამ.: ეს განყოფილების ჭადრაკია... კარგი, თანახმა ვარ. თქვენ რას ჩამოდიხართ?

ეკვ.: ფლომასტერს!

გამომძიებელმა იგუმანა. „შეშარიტების დადგენისათვის საჭიროა სიახლოვე, უფრო მეტიც — ფამილარობა.

გამომძიებელმა და ეკვმატანლმა ვეთამაშეს ძველინდური პარტია.

გამ.: თქვენს ლაზიერს მალე დავაკვეს!

ეკვ.: თქვენი ეტლი ჩანგალზე წამოვეგე, ამ კანონს გარს ვერ შემოუვლიან!

გამ.: არსებობს უალმე დგების კანონი.

ეკვ.: რა ვაეწყობა, ლაზერი თქვენ შეიპყარით, მე კი დავგამამათეთ!

გამ.: განყოფილების ჭადრაკი თქვენი საკუთრება გახდა! გილოცავთ!

ეკვ.: ეს რომ ფულის ექვივალენტური იყოს, მაშინ, ღირს მოლოცვად.

გამომძიებელმა გახსნა თავისი სეიფი და გამოიღო ახალთახალი ჭადრაკი.

გამ.: სპილოს ძვლისაგან დამზადებული ჭადრაკია, აზარტული მოთამაშისაგან ამოვიღე.

ეკვ.: ესთეტიკური ჭადრაკია. თანახმა ვარ!

როცა გამომძიებელმა უკანასკნელი, მეთე ჭადრაკი წაავო, ეკვმატანლმა მის სეიფში წითელ მაისურებსა და ხელუფმბარას შეასწორა თავალი და გულარხეინად შესთავაზა:

ეკვ.: ვინდათ, აი, ამ წითელ მაისურებზე ვეთამაშებით! ერთი საათი გვაშორებს ახალ წელს!

გამ.: ოოო, ეს ნივთიერი მტკიცება არის!

ეკვ.: ამმ!

გამ.: ამმ, რაკი ასეთი ულტიმატუმია... ვეთამაშებით მაისურებზე!

ეკვ.: მატ!

გამ.: ოპ!

ეკვ.: შტანგაზე რას იტყვით?!

გამ.: წავაგე!.. ჩადი, სამორგეოში ადი, სერფანტებს მიაკითხე!

ეკვ.: აგაშენა ღმერთმა. დანაკლისი დავიბრუნე!.. ავალიდან თამამად ვეთამაშები! ამ ჩემი დანაკლისით სავსე რევიზორს!.. რამდენსაც მინდა, იმდენს მოვუგებ!

ისრებმა ახალი წლის საზღვრები გადალახეს.

გამ.: ეჰ, მკვლელობის გზას ვერ მივდექი!..

ეკვ.: თუ კაცი ხარ, მკვლელობაზე ნუ ამელაპარაკები! გილოცავ ახალ წელს! აი, მესამის, ბენიასთანა გამომძიებელი, კაცი გადამარჩინე! ახალი წლის ჩაჩხაპებას!

გამ.: ბოიკა, შამპანური!

ავთანდილ ადეიშვილი

3. ვოკაბულარი

ეკვატორული ნაკადული

● **მეტად ხელსაყრელია** იმის აღიარება, რომ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა და აღარაა საჭირო გამოსავლის ძებნა.

● **ეს არ შეიძლება** ორი აზრი იყოს! — თქვა დირექტორმა. სიტყვაში — „ეს“ — თავის კაბინეტს ფულისხმობდა.

ბიბოლა კოლოგანი

ზოოლაფფრაზეი

● **ეკვატორიანელი** ვეფხვი მხოლოდ ბალახისმჭამელებს მიირთმევდა.

უყრაინულიდან თარგმნა ბ. სიხარულიძემ

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ეს, კაკლეტი კი არა, ნახევარი ჯერია!
— იმიტომ ჭკვია, ჯალტონო, ნახევარფაბულისტები!

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ გახურებულ ლხინში მოვხვდი. სუფრის აღერა და ქეიფის მიზეზის ახსნა დროს წაგვართმევდა, ამიტომ პირდაპირ სამეზეს გადადევარ: დაწესებულების ხელმძღვანელს, კარგად ნაპატივებ მამაკაცს, ერთგული ხელქეითები ლოცავდნენ; ეროს ტუბთან არ ჭკნნდა სასმელი მიტანილი, მეორე ჩაახელეებდა და იწყებდა...

შეეცადები, დავიცავ ზოგიერთი მათგანის სტილი და თითო გამოსვლის თითო ფრაგმენტი მაინც მოვიტანო.

პირველი სიტყვა (ეს არც არავის გაკკვირვებია) პირველმა მოადგილემ აიღო (დანარჩენთა თანამდებობებს შეგნებულად არ ვასახელებ) და ასე წაიდა დაღმავალი ხაზითა და აღმავალი პათოსით ეს საკვანძო სადღეგრძელო:

* * *

— თეკვსმეტი წელი სიამტკბილობაში და ერთმანეთის სულის შებერვაში გაგვიტარებია, ჩემო შალვოვინ! ორი ამდენი მომავალში მიმსახურეთ, თუ, რასაკვირველია, ხეპირად ჩათვლით! მერე კიდე მოვილაპარაკოთ! თქვენ იცით და თქვენმა ორგანიზაციურმა ნიშამ! იდღეგრძელეთ, ახი წელი მინიმუმ!..

— გმადლობ, ჩემო კაკო, გაიხარე!..

— კაცი ვარ და საქმეს ვაკეთებო, თქვენ უნდა თქვათ, პაიავცემულო! რა იყო ჩვენი ტრესტი, სანამ თქვენ ჩაიბრუნდეთ? ერთი საცოდავი კანტორა! ახლა, თქვენ ხართ ჩემი ბატონნი, კაბინოს მასშტაბით გვიცნობენ, როგორც ასეთს. მალე, ალბათ, უფრო შორს წავა ჩვენი პროდუქცია, ისევ თქვენი გამჭრიახობის წყალობით!..

— იცოცხლე, ჩემო კიკო, გაამოს!..

* * *

— ბევრი ინტრიგანისთვის მოგიხერხიათ კისერი და ბევრი მიიმუნისთვის გიხწავლიხიათ ჭკუა! მანნე არ ისვენებენ! გახმეს ის მარკვენა, თქვენზე რომ უსახელო ბარათებს ჩმახავს!.. უკვაროდ და უსახელოდ გადაშენდეს! შტატების გაბერვას რომ გაბრალით, მაგის დამწერი ღირსია, თავად გაბერონ და ფეხებით დაკიდონ თქვენი მისალების კარებთან!..

— გისმინოს ღმერთმა, ჩემო კუკა!

* * *

— პირდაპირ საათივით გაქვთ საქმე აწყობილი, შალვოვინ! ღამე ძინავთ, დღისით სამსახურში შემოიოლთან. თუ საქმემ მოითხოვა, პირიქითაც კაკეკეთენ. დედოფალ დიდი ხართ, პატარასთან — პატარა, ძალლთან — მგელი, ვირთან — ჭანლმი, მარტორქასთან — ბეგემოთო!..

— ქმარა, კოკის ვენაცვალე, გასაგებია!..

— ყველამ იცის და გამოუცდია, როგორ გვიფრთხილდება ჩვენი მმართველი: რაიონებში ჩვენ ვვგზავნის მიელნებით, მოსკოვსა და კიევში, იმხელა გზაზე, თვითონ მიბრძანდება, საფრთხეში იგდებს ჯანმრთელობას, თვით სიცოცხლესაც კი!.. ეხუმრებით თვეში სამ-ოთხჯერ თვითმფრინავით გადაფრენ-გადმოფრენის?!.

— კაი, ჩემო კიკი, რა საოქმელია!..

* * *

— კეთილი და მოწყალე ბევრი მინახავს, მაგრამ თქვენნაირი გულჩვილი ზღაპარშიც არ გამიგონია! მახსოვს, ჩვენს ბუღალტერს — ჩიტოს — დედამთილი რომ გარდაეცვალა, მთელი სამი დღით გაათავისუფლეთ, მეოთხე დღესაც არ დაამაგლებდით, რომ ეთხოვა!..

— ეგ რა სალაპარაკოა, ჩემო კიკა? მეტი რაში უნდა გამოვადგეთ ერთმანეთს?!.

* * *

— ჩვენი კეთილდღეობა თქვენს ჯანმრთელობაზეა გადაჯაჭვული!.. უნდა გამოგიტყდეთ, ნემეტან ბევრს ეწვევით! მთელი კოლეკტივის სახელით მოვითხოვ, დაანებოთ პაპიროსს თავი! ნუ გვანერვიულებთ, შალვოვინ!..

— ეგ თქვენზეა, ჩემო კაკი, დამოკიდებული, ვეგმას როგორ შეასრულებთ!

— თქვენ არა მარტო უბადლო ხელმძღვანელი, ოჯახის მამაც ბისაბაძი ბრძანდებით! შარშან, უმცროსმა ვაუმა, ველოსიპედის ყიდვა მოგთხოვათ და სპორტლოტოში მოგებული ფულით „ეგიული“ გამოუყვანეთ!.. აი, ამას ჰქვია პედაგოგიური ტაქტი!..

— ჩემს ადგილას შენც ასე მოიქცოდი, ჩემო კოკო!

* * *

დანარჩენებმაც იოლად გაართვეს საქმეს თავი. ტუობოდათ, საუცხოოდ იყვნენ ნავარჯიშევი; კეკო კოკასთან გადავიდა ალაევრდს, კაკა—კუკუსთან. მცირე ანტრაქტში ყველი მოიღერეს და მრავალკამეჩრიც დაადგეგნეს!..

სანამ შალვოვინის სადღეგრძელოს ახალ ვარიანტს შეიმუშავებდნენ და ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, სკამი გავწევ, უკანუკან წავედი და მალე მუხაში ჩასმულ გასასვლელთან ვიღეკი. უკანასკნელად გავაპარე დარბაზისკენ თვალი.

იქ, სადაც ხაშლამისა და ხინკლის ოხშივარი ერთდებოდა, ბუღასავით ქანაობდა ნეტარებისაგან გაბადრული მმართველის თავი, რომელსაც აბლაუდასავით დახვეოდნენ სუფრის დანარჩენი წევრები.

არველოდი ფინდავა

ერთი საღამოს რაინდი

პირველ იანვარს მეგობარმა დამპატიჟა სადილად. იქიდან გვიან გამოვედი, მაგრამ სახლში მაინც ფეხით დაბრუნება გადავწყვიტე.

ზამთრის საღამო სასიამოვნო მუქლურჯ ტონებად ეფინებოდა მიწყნარებულ ქუჩებს. ოდნავმა სუსხმა თითქმის მთლად გამიგრილა ღვინისაგან გახურებული შუბლი. სახლს ისე მივუახლოვდი, რომ ვერც გავიგე.

ფერთა ჰარმონიისა და ღამის რომანტიკისაგან უცებ გამოვერკვიე.

ჩვენი სახლის მეზობელ კორპუსთან ოთხი საეჭვო სილუეტი ატუზულიყო. ახალგაზრდები ჩანდნენ, მოდაზე ეცვათ, ფართოტოტებიანი შარვლები, მხრებში აწურული პალტოები ... ჩემს დანახვაზე რაღაც მოითათბირეს. მათ რომ გავუსწორდი, ერთ-ერთი მათგანი ჩემსკენ წამოვიდა. გულმა რეჩხი მიყო...

— ბატონო, სიგარეტს მომიკიდეთ, თუ შეიძლება!..

... ჩვეულებრივი, ბანალური ფანდია. ახლა დანარჩენებიც მოვლენ, გარს შემომეხვევიან და დაიწყება:

— „საათი მოიხსენი!“

— „ფული მოიტა!“

ჩემი გონება კომპიუტერის სისწრაფით მუშაობდა. ყველა ვარიანტი გამოვთვალე, ყველაფერი ზუსტად გავითვალისწინე ... დაყოვნება აღარ შეიძლებოდა ... აღარ ვაცალე, ხელი ვითომ ასანთის ამოსაღებად წავიღე ჯიბისაკენ და დაბლიდან ისეთი ვუთავაზე ნიკაპს ქვეშ, რომ ის ყმაწვილი გულაღმა გადავარდა. აპერკოტ! ახლა კი გამოენონენ მისი ამფსონები ჩემკენ. ერთს მზიურ წნულში ვგლიჯე და იქვე ჩავკეცე (ნოკაუტ! აი, სად გამომადგა სტუდენტობისას ნასწავლი კრივის ილეთები!), მეორეს თბილისურად თავური ვუთავაზე და კვახივით გავაგორე, მესამეს ყბა ჩამოვუღე...

ერთი კი გადავხედე ჭერეხივით მიყრილ-მოყრილ ქუჩის ნაძირალებს და სწრაფი ნაბიჯით გავცილდი იქაურობას. ვინ იცის, რა აქვთ ჯიბეში... „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს ...“

მეხუთე სართულამდე სულ თითო საფეხურის გამოტოვებით ავირბინე, ჩემი ბინის წინ გავჩერდი, გავიარ-გამოვიარე, რომ აქოშინებულს არ დამეფრთხო ჩემი ცოლი, გული საგულეს ჩავიდე და არხეინი იერით დავრეკე ზარი.

ციცინო ტკრციალით მომეგება კარში.

— სად ბრძანდები, ვაჟბატონო, აქამდე?! შენ თუ კაი კაცი ხარ, სად დაწანწალებ?! — ღიმილით დაამთავრა მან.

„კაი კაცი ვარ, ჩემო ციცუნი, კაი! ყველა ისე რომ მოიქცეს, როგორც მე ამ საღამოს, ამდენ ხულიგნობასა და მაიმუნობას არ ექნებოდა ადგილი ...“ — ამაყად გავივლე გულში.

მთელი საღამო საშინელ თვითკმაყოფილებას განვიცდიდი. მართლა, კაცმა ყველგან და ყველაფერში შენი სიტყვა უნდა თქვა, თუ ვაჟკაცი ხარ და ქუდი გხურავს!

თაროზე ვაჟა-ფშაველას ცხოვრების წიგნიც კი მოვნახე, სავარძელზე მყუდროდ მოვეწყვე და სიამოვნებით წავიკითხე ჩემი საყვარელი ადგილი, — ვაჟამ და ბაჩანამ როგორ გალახეს პეტერბურგში თითქმის მთელი რესტორანი ...

მეორე დილით აივანზე გავედი, ვივარჯიშე (რაც დიდი ხანია აღარ გამიკეთებია...) კარის მინის ანარეკლში ოდნავ წამოზრდილი ღიპიც კარგად შევათვალიერე და სველი ტილოთიც დავიზილე ტანი!

— აღარ მოხვალ სასაუზმოდ? — ეშმაკურად მოწკურული თვალებით გამომხედა ციცინომ. — აპოლონ ბელვედერსკი!

ლიპი მაშინვე შევწიე და [illegible] მამალი მტრედივით ავიფუე.

— შენი მეორე აპოლონი სადღაა?

— წავუღრინე მაგიდასთან, როცა ჩვენი ვაჟიშვილი ვერ შევნიშნე.

— კარგი ახლა, გვიან დაბრუნდა თამაზიკო, დედა ენაცვალოს! ახალი წელია, იძინოს ცოტა ხანს ბავშვმა!

(კაი ბავშვია, ოცდაერთი წლის მუტრუკი!..) უგემურად მოვკიდე საჭმელს ხელი.

— გაგაგიჟებს ეს ხალხი! — წამოიწყო ციცინომ საუზმისათვის გათვალისწინებული საუბარი და საშაქრე გადმომაწოდა.

— მოხდა რაიმე? — ცალყბად ვკითხე მე.

— მოხდა ქვია! წუხელის, თურმე, მეზობელი კორპუსის ბიჭები დგანან სახლის წინ და ფეხბურთზე კამათობენ თამაზის ნაცნობები არიან. ამ დროს მოდის ვიღაც ახმახი, ასე ორმოცი წლის ვირი, ერთ-ერთი ბავშვი მისულა და სიგარეტის მოკიდება უთხოვია. ამისი თქმა იყო და, დარევია ის ხულიგანი: ერთისათვის კინაღამ კბილები ჩაუმტვრევია, მეორესთვის პირდაპირ თავი უთხლეშია ცხვირ-პირში იმ ლოთს, მესამესთვის ისე გამეტებით ჩაურტყამს მუცელში, რომ საავადმყოფოში წაუყვანიათ ბავშვი ... მგონი, შენც იცნობ იმათ მამებს ...

ნერწყვი გამიშრა. თვალთ დამიბნელდა. ხელის ფათურით მოვძებნე ჩაის ჭიქა და პირი ისე დავითუთქე, რომ სულ ცრემლები წამომცვივდა.

— რა მოგივიდა, კაცო, ცუდად ხომ არა ხარ?! გააწყალა გული ამისმა გულჩვილობამ, ადამიანს ვერაფერი გითქვამს!..

ზურლან ყორღანაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ძია, ბორჯომი გაქვთ?
— ფასი იცი?

სოფლიდან ბარათი — სკოლას

ახალი წელი მობრძანდა ხურჯინებსავსე ბარაქით,
მშვიდობის, ლექსის, სიმღერის ათასწლოვანი მარაგით.
გული სიხარულს ვერ იტევს, მშრომელს შეუქეს მარჯვენა.
ხალხის სიმრავლე, ღმერთმა ქნას, რაჭის სოფლებშიც მაჩვენა!
ავყვები ფიქრებს და ცრემლებს ველარ მიმშრალებს სოფელი,
ჩაჰყევით ლექსს და მითხარით, ორში სწორია რომელი?
... ათი წლის უკან სკოლიდან ავფრინდით, როგორც გვრიტები,
ბიჭები — ირემლაღები, გოგონები კი — კვირტები.
დღეს ყველასა გვაქვს დიპლომი — ტკბილი ოცნების ფინალი,
მაგრამ არ გვკითხავთ, სადა ვართ, აქეთ და იქით ვინ არი?
გურამი ქალაქს აშენებს (თავზე ექცევა სოფელი!),
ვაჟა თბილისში დასახლდა, სოფლის „კეთილისმყოფელი“,
ნიკოც — თბილისში, ცისანაც!.. სოფელს ნუ ეტყვით ნინოსა! —
ხლვისპირეთშია, გაცნობებთ, იქ უკრავს პიანინოსა,
ზურაბი ინსტიტუტშია, ერთხელ არ მოვა რაჭაში,
სადღეგრძელოთი მიწა-წყალს არც თამაზი ცვლის „ჭაჭაში“.
ყოველ წელს მოდის ლევანი იმ პაპისეულ ოდაში,
პურ-მარილისთვის დაივლის მეზობლებსა და მოდგმაში,
მერე ბაღ-ვენახს ეცემა, დაჰკრეფს, ჩატვირთავს „ჟიგულში“.
არა, მე მიკვირს (და სხვებსაც) რა აქვს ამ „ვაჟკაცს“ იმ გულში?!.
ჩვენ დავემკვიდრეთ სოფელში: მე, ნანა, ლერი, მარადი,
გამრჯე მარჯვენას გვილოცავს ხალხი მთებიდან ბარამდი.
ყველა თქვენებრ რომ გავიქცეთ, სოფელს ქუსლები ვუჩვენოთ,
რით იარსებებთ, ან თქვენ და, ანდა, სოფელი უჩვენოდ?
მიდიხართ, აღარ მოდიხართ, ზღვასაც აკლდება მოსმითა,
სოფელი არ აშენდება ათასში ერთხელ მოსვლითა!

ვაჟა ჩორდელი

ნახ. გ. ლომიძისა

უტექსტოდ

დესერგაცია

ამხანაგმა: „წამომყეო!“
არ მინდოდა კაცის წყენა;
ბრეზენტებით გადახურულ
ფართო ეზოს მიმაყენა...

ქეიფია „ვიწრო წრეში“,
ხუფრა — სამასკაციანი!
დამღერიან: „დაიჯერე,
ასე იყო, ასე არის!“

ისე არის დაზვინული —
ხუფრა — ლამის იზნიქება...
და ვიქეცით ფიალებად,
ყანწებად და დიდ ჭიქებად!...

თამადამ კი მიკროფონით
გაიცალა მართლა დმერთი:
ორი ყანწით ადღეგრძელა
ორი „გმირი“ ოპონენტი!

მერე მიხდგა, როგორც ვიცით,
ქებით ცაში აიყვანა:
„არ თქმულა და არ ნახულა
დისერტანტი ამიხთანა!

მე ის მიყვარს, რომ სიმართლეს
კაცმა თვალი გაუსწორო:
ეგ რა არი? მიკვირს, ძმაო,
რად არ მოგცეს სადოქტორო?!“

ზოთა ხოდაშნელი



— რომ ჰკითხო, წელს ძლივს ითრევს და ნახე, რა სახლი წამოჰიმა!

— **ძ. ძუთაისიდან**, გ. ლეონიძის ქუჩის მცხოვრებნი ვართ, ძმაო ხიანგო! ქუჩის კეთილმოწყობაზე არ გაწუხებთ! იქნებ, დაგვეხმაროთ ღვარსადენების გაკეთებაში, ღვარმა რომ არ წაგვიღოს, თორემ ჩვენც და იმათაც, ვისაც ეს ეხებათ, თავს ღვარი დაგვესხმება!..

— **ძ. ხაშურიდან** გაწუხებთ დაწყებითი კლასის მოსწავლეები ბიძია ნიანგო! წვიმიან დღეს სკოლაში წასვლისა გვეშინია. ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა მეტად სახიფათო საქმეა, ზღვასავით გუბეები დგას. არა, შეიძლება მთლად ზღვასავით არ იყოს, მაგრამ პატარები ვართ და დიდად გვეჩვენება!..

— **ჩვენ** კი ლანჩხუთიდანა ვართ, სვერდლოვის ქუჩაზე მცხოვრები მოსწავლეები. ამ ქუჩიდან მიმავალი გზა საშუალო სკოლისაკენ ისეა დაზიანებული რომ უმცროსკლასელები, უფროსკლასელთა დახმარების კარეშე, ხოლო ისინი უმშობლოდ, ვეო მიდიან სკოლაში. ჰოდა, დავდივართ ასე ხელიხელჩაკიდებულები...

პატივცემულო ნიანგო! იქნებ, თქვენ ჩვენს მშობლებს დაეხმაროთ. რა იქნება, ერთხელ მივიდეთ სკოლაში სუფთა ფეხსაცმელებითა და ტანსაცმლით?!

— **სოფელ** იყალთოს კოლმეურნეობის ყოფილი ვეტექიმი ელიზბარ ზაქარიას ძე ლაჩაშვილი გაწუხებთ, ჩვენო ნიანგო! ყოფილს იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის ვეტექიმი ვიყავი და აღარა ვარ. რატომ? სწორედ ასეთ კითხვას ველოდ თქვენგან. იმიტომ, რომ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, **ნელი იოსების ასულ მრევლიშვილს**, თვალში არ მოვუვიდი და გამანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

საფუძველი?

1975 წლის იანვრის თვეში ჩვენს კოლმეურნეობაში ყვავილის ინფექციური დაავადებით 22 გოჭი დაიღუპა. დაღუპვის მიზეზი აუცრელობა იყო, აუცრელობის მიზეზი კი — ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის უქონლობა. ჰოდა, თავმჯდომარემ 22 გოჭი მოუსავლეთიდან დამაბარუნებინა, მე კი გზა მშვიდობისა მისურვა. ამას ადასტურებს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის წერილი თელავის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსადმი: „თელავის რაიონის სოფელ იყალთოში მცხოვრებ ვეტექიმ ელიზბარ ზაქარიას ძე ლაჩაშვილის განცხადების შესახებ გაცნობებთ, რომ, როგორც შემოწმებით დადასტურდა, ამავე კოლმეურნეობის ვეტექიმის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება არასწორია, ვინაიდან იმ დროისათვის რაიონში არ იყო შემოტანილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა, ამასთან მას ნატურით ანაზღაურებული აქვს კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალი“.

გიგზავნით ნიანგის ვაქცინას, რომელიც ყველა დაავადების პროფილაქტიკური საშუალებაა.

მოისმინა **შანი სიხარულიძემ**

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კასიანაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭილაძე. ⊙ **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“**. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. კუხალაშვილი. ⊙ **მისამართი:** 380012, ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ **სარედაქციო ტელეფონები:** 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. ⊙ **ტელეფონები:** ბ. ბაბუაძე, ზ. ბოლქვაძე, ბ. ბურჭულაძე, ბ. ბ. ქავაძე, გ. ლომიძე, ნ. მ. ლაზონია, ხ. ჯაფარიძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგეჭკორი

ფასი 20 კაპიკი

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. **რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/XII 75 წ. **ქაღალდის ზომა** 70×108 1/8 **ბეჭდვა** ofset. **ფიზიკური ნაბეჭდი** 1. **სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი** 1,4 ⊙ **სარედაქციო** 1. **ტირაჟი** 135 070. ⊙ **ტფილისი, ლენინის ქ.** 14. ⊙ **შეკვ.** 4469 **უე** 02138 **ტირ.** 135 070. ⊙ **Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги».** ⊙ **Издательство ЦК КП Грузии.** ⊙ **Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

21
15.1

საფლავის გაფორმება ხშირად ვერ ეტევა განსვენებულის ხსოვნის მხატვრული თუ ესთეტიკური კატეგორიების ფარგლებში. ინტენსიურად, უგემოვნოდ და ულაზათოდ შენდებოდა მარმარილოს აკლდამები, რომლებმაც სასაფლაოებიდან განდევნეს ნარგავები და ყვავილები. ეს საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს, რადგან საფლავის მდიდრულად გაფორმებას მომეტებულად ახირებდნენ ოჯახები, რომლებსაც დიდი, უშრომელი შემოსავალი ჰქონდათ.

ნიავდებოდა საშენი მასალა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ყოველგვარი წესის დარღვევით ჩამოჰქონდათ ძვირადღირებული ფონდირებული ქვა.

გაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა